ს.ს.ი.ს
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
17.06.2009 № 64

სტუდენტთა მობილობის შესახებ

სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გადმოყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტებისაგან განცხადებებისა და საჭირო თანდართული დოკუმენტაციის მიღება, განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე, განხორციელდეს 2009წლის 18 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით, ყოველ დღე. შაბათ-კვირის გარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში.

2. დაევალოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) უზრუნველყონ მოტივირებული დასკვნების მომზადება სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი სასწავლო კურსების ცნობის შესახებ და ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმის შესაბამისად წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არაუგვიანეს 17 ივლისისა.

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-2 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ ამ ბრძანების დანართით (დანართი 1)

4. დაევალოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) კონკურსის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინონ შესაბამისი საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა არაუგვიანეს 21 ივლისისა.
4.1. კონკურსანტთა რეგისტრაცია ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე ამა წლის 23, 24 ივლისს;
– საკონკურსო გამოცდა ჩატარდეს ამა წლის 27 ივლისს;
– სააპელაციო განცხადებების მიღება მოხდეს ამა წლის 28 ივლისს; მათი განხილვა – 29 ივლისს;
– საკონკუსო გამოცდის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 30 ივლისს;
4.2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანმა საკონკურსო გამოცდის შედეგების საფუძველზე მოამზადოს წარდგინება სტუდენტთა გადმოყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ;

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ს.ესაძემ მოამზადოს 2009/10 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გადმოყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტი და უზრუნველყოს მისი წარდგენა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში.

6. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №127 (28.03.2005); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №564 (23.06.2008) განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრის დირექტორის ბრძანება №18 (18.05.2009), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ს.ესაძის წარდგინება.

რექტორი, პროფესორი — ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფესორი — ლ.კლიმიაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უფროსი, პროფესორი — ს.ესაძე

სწავლებისა დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი — ი.ლომიძე

საშართლებრივი უზრუნველყოფის გაეროფილების უფროსი — ბ.მაისურაძე

სტუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა	სწავლების წელი
საბაკალავრო პროგრამებისათვის	
0-დან 30-მდე	პირველი
30-დან 90-მდე	მეორე
90-დან 180-მდე	მესამე
180-დან 240-მდე	მეოთხე
უმაღლესი პროფესიული პროგრამებისათვის	
0-დან 30-მდე	პირველი
30-დან 120-მდე	მეორე
120-დან 150-მდე	მესამე წლის პირველი სემესტრი